www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით და სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯები

2021



31.10.2022
www.geostat.ge

31.10.2022

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით

(2021 წელი)

2021 წლის მონაცემებით, დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი -მენეჯერების პოზიციაზე გამოვლინდა და 2 414.7 ლარი შეადგინა, ხოლო საშუალო ხელფასის ყველაზე დაბალი მოცულობა - არაკვალიფიციური მუშაკების პოზიციაზე დაფიქსირდა (674.1 ლარი).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით.

დიაგრამა №1

საშუალო თვიური ხელფასი დაკავებული პოზიციების მიხედვით, 2021 წელი

(ლარი)



31.10.2022

სქესის მიხედვით კაცების ხელფასი ყველა პოზიციაზე აღემატება ქალების ხელფასს. მენეჯერების პოზიციაზე ქალების ხელფასი 1863.5 ლარით განისაზღვრა, ხოლო კაცების ხელფასი - 2768.9 ლარით. გენდერული სახელფასო სხვაობა ყველაზე მაღალია არაკვალიფიციური მუშაკების პოზიციაზე, სადაც ქალების საშუალო ხელფასი მამაკაცების ხელფასს 53.5 პროცენტით ჩამორჩება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი დაკავებული პოზიციებისა და სქესის მიხედვით.

დიაგრამა №2

საშუალო თვიური ხელფასი დაკავებული პოზიციებისა და სქესის მიხედვით, 2021 წელი
(ლარი)



სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯები

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2021 წელს საშუალო წლიური დანახარჯი ერთ დაქირავებით დასაქმებულზე 16142.8 ლარს შეადგენდა, საიდანაც 97.0% შრომის ანაზღაურებაზე მოდის, ხოლო 3.0% - სხვა დანახარჯებზე (თანამშრომლების სოციალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო, კვალიფიკაციის ამაღლებისა და მსგავსი სახის ღონისძიებები). აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მონაცემებით, სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯები საშუალოდ ერთ დაქირავებით დასაქმებულზე 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელს 32.3%-ით აღემატება.

სექტორების მიხედვით, სამუშაო ძალაზე გაწეული საშუალო წლიური ხარჯების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სფეროში ფიქსირდება და 29 201.0 ლარი შეადგინა, ხოლო ყველაზე დაბალი - განათლების სფეროში გამოვლინდა და 10 152.9 ლარით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშუალო წლიური დანახარჯი ერთ დაქირავებით დასაქმებულ მუშაკზე.

31.10.2022

დიაგრამა №3

საშუალო წლიური დანახარჯი ერთ დაქირავებით დასაქმებულ მუშაკზე

(ლარი)



სახელმწიფო სექტორში სამუშაო ძალაზე გაწეული საშუალო წლიური ხარჯები 19.8%-ით დაბალია არასახელმწიფოსთან შედარებით და შესაბამისად 13 932.2 და 17 372.0 ლარს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამუშაო ძალაზე გაწეული ხარჯების განაწილება სექტორების მიხედვით:

ცხრილი №1

სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯები

	2017			2021		
	საშუალო წლიური დანახარჯი სამუშაო ძალაზე, ლარი	მათ შორის, %		**საშუალო წლიური დანახარჯი სამუშაო ძალაზე**, ლარი	მათ შორის, %	
		შრომის ანაზღაურება	სხვა დანახარჯები		შრომის ანაზღაურება	სხვა დანახარჯები
სულ	**12 200.6**	98.3	1.7	**16 142.8**	97.0	3.0
სახელმწიფო სექტორი	**10 697.9**	96.6	3.4	**13 932.2**	96.2	3.8
არასახელმწიფო სექტორი	**13 050.7**	99.0	1.0	**17 372.0**	97.3	2.7
სამეწარმეო სფერო	**12 332.7**	99.2	0.8	**16 617.5**	97.3	2.7
არასამეწარმეო სფერო	**11 966.1**	96.5	3.5	**15 300.4**	96.3	3.7

შენიშვნები:

რელიზში გამოყენებულია დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია ISCO-08.

საკონტაქტო პირები:
ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge